ოქმი:**ო03. 3726208001**

თარიღი:**27/07/2026**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2026 წელი, 24 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. გოლიაძე, გ. მდინარაძე, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ვლ. ხავთასი, ბ. თოიძე, დ. თოიძე, ქ. ხომერიკი.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N 12 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი-აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი იზრდება მნიშვნელოვნად-45439,3 ათსი ლარით, ანუ 94,5%-ით, ბიუჯეტის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი კომისიის წევრებს დაწვრილებით გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭონიამ, რომელმაც განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნაცვლად 48070,0 ათასი ლარისა განისაზღვრა 93509,3 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის დაფინანსება იზრდება 37215,5 ათასი ლარით, განათლების დაფინანსება-7714,0 ათასი ლარით, კულტურის დაფინანსება-400,0 ათასი ლარით, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 53,6 ათასი ლარით. მოხდება შიდამუხლობრივი გადანაცვლებებიც.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და

დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი